



# პოლიტიკის დოკუმენტი N2024/06

საპენსიო სისტემის შემოთავაზებული ცვლილებები რისკის წინაშე აყენებს საპენსიო ფონდის 1,5 მილიონ მონაწილეს

ივნისი, 2024

ავტორები:  
თორნიკე სურგულაძე  
დავით კეჭელაძე

შენიშვნა: წინამდებარე დოკუმენტი მომზადებულია შვედეთის ფინანსური მხარდაჭერით. დოკუმენტის შინაარსი არის ავტორ(ებ)ის პასუხისმგებლობა და არცერთ შემთხვევაში არ ასახავს შვედეთის პოზიციას.

## შემაჯამებელი მიმოხილვა

ბოლო წლებში საქართველომ მნიშვნელოვანი უკუსვლა განიცადა ეკონომიკური მმართველობის მიმართულებით. უცხოური გავლენის გამჭვირვალობის შესახებ არადემოკრატიული კანონის (ე.წ. აგენტების კანონის) გარდა, დაინტერესებული მხარეების, ექსპერტებისა და საზოგადოების ყურადღება მმართველი პარტიისა და საპარლამენტო უმრავლესობის მიერ ინიცირებულმა რამდენიმე კანონპროექტმა და კანონში შეტანილმა ცვლილებამ მიიპყრო. ამ ცვლილებების შედეგად საქართველოს ეკონომიკური მმართველობა შესუსტდა, რამაც სერიოზული შეშფოთება გამოიწვია. ამჟამად პარლამენტი განიხილავს ცვლილების შეტანას საქართველოს ეროვნული ბანკის მმართველობის სისტემაში, ე.წ. ოფშორების კანონსა და საპენსიო კანონმდებლობაში. ამ პოლიტიკის დოკუმენტში საქართველოში ინიცირებულ საპენსიო სისტემის ცვლილებებს ვადარებთ სხვა ქვეყნების (მაგ., კანადის, შვედეთის, ნიდერლანდებისა და დანიის) წარმატებულ საპენსიო სისტემის მოდელებს და ხაზს უსვამს, რომ დაბალანსებული მმართველობის ფორმები, მმართველი საბჭოს კომპეტენცია და დამოუკიდებლობა, ისევე, როგორც დაინტერესებული მხარეების ჩართულობა უაღრესად მნიშვნელოვანია საპენსიო სისტემის ეფექტური ფუნქციონირებისა და არსებული რისკების ოპტიმალური მართვისათვის, საპენსიო ფონდის მონაწილეთა ინტერესებისა და კეთილდღეობის დასაცავად.

უპირველეს ყოვლისა, საყურადღებოა, რომ შემოთავაზებული ცვლილებების თანახმად, პარლამენტის მიერ დანიშნულ არსებულ სამეთვალყურეო და საინვესტიციო საბჭოებს ჩაანაცვლებს მმართველობითი საბჭო. მმართველობითი საბჭოს წევრები ინიშნებიან საქართველოს პრემიერ-მინისტრის ერთპიროვნული გადაწყვეტილებით და არ საჭიროებს პარლამენტის მიერ დამტკიცებას. ახალი საბჭო შეითავსებს როგორც საპენსიო სისტემის საინვესტიციო, ისე ადმინისტრაციულ ფუნქციებს. განმარტებითი ბარათი ამბობს, რომ ამგვარი ცვლილება ხელს შეუწყობს მმართველობის გაუმჯობესებას. მიუხედავად ამისა, იგი წარმოშობს გამჭვირვალობის ხარისხის და დაინტერესებულ მხარეთა ჩართულობის შემცირების რისკს, პოტენციურად კი საფრთხის წინაშე დააყენებს მმართველობის დამოუკიდებლობასა და ეფექტურობას, აგრეთვე, გაზრდის პოლიტიკური ზეგავლენის რისკებს. საქართველოსგან განსხვავებით, რიგ ქვეყნებში, მაგ., კანადასა და შვედეთში, დირექტორთა საბჭოს შერჩევისას გამოიყენება მრავალმხრივი და ინკლუზიური შერჩევის მექანიზმები, რაც უზრუნველყოფს მმართველობის სიღრმისეული ცოდნისა და გამოცდილების მქონე მმართველობის წევრების შერჩევას და, შესაბამისად, მმართველობის ხარისხს.

შემოთავაზებული ცვლილების მიხედვით, გამორიცხულია კერძო აქტივების მმართველთა ჩართულობაც, რაც იმას ნიშნავს, რომ ინდივიდების სურვილის შემთხვევაში, აქტივების მართვა არ განხორციელდება გარე მმართველობის ფორმით. ეს შეზღუდვა მნიშვნელოვნად ამცირებს კონკურენციას საპენსიო სისტემის შიგნით და საპენსიო სისტემის 1,5 მილიონ მონაწილეს უზღუდავს არჩევანს. შვედეთისა და ნიდერლანდების წარმატებული მოდელები მოწმობს, რომ საპენსიო სისტემის მონაწილეებისათვის არჩევნის უზრუნველყოფა, რომ აირჩიონ აქტივების მმართველები, განაპირობებს მეტ შემოსავალსა და კაპიტალის ბაზრის საიმედოობას. საქართველოს ამჟამინდელმა მიდგომამ კი, შესაძლოა, შეანელოს ბაზრის განვითარება და შეამციროს სისტემის ეფექტურობა.

ამავდროულად, მოსალოდნელი ცვლილებები საინვესტიციო შესაძლებლობების ლიმიტების ზრდას ითვალისწინებს, რაც შესაძლებლობას აძლევს საპენსიო ფონდს ინვესტიციები ჩადოს უფრო ფართო სპექტრის აქტივებში, მათ შორის, მაღალი რისკის მქონე სხვა ტიპის აქტივებში. „სხვა ტიპის აქტივების“ მკაფიო განმარტების არარსებობა კი წარმოშობს დამატებით რისკებს, განსაკუთრებით, სახელმწიფო პროექტებში განხორციელებულ პოტენციურ ინვესტიციებთან დაკავშირებით. სათანადო ზედამხედველობის გარეშე, ასეთი ტიპის ინვესტიციებმა შესაძლოა მიგვიყვანოს არასწორ მმართველობასა და კორუფციასთან, რაც საფრთხის წინაშე დააყენებს საპენსიო ფონდის მთლიანობას და 1,5 მილიონი მონაწილის ფინანსურ უსაფრთხოებას. მიუხედავად იმისა, რომ ფინანსთა სამინისტროს მტკიცებით, ინვესტიციები მხოლოდ ობლიგაციებში განხორციელდება, ამ სფეროში მეტი თავისუფლების შექმნა გაზრდის პოლიტიკური ზეგავლენის ქვეშ გადაწყვეტილებების მიღების რისკს. ამგვარი რისკები კიდევ უფრო სახიფათო ხდება, თუ გავითვალისწინებთ სტრატეგიულ პარტნიორებთან არსებული კურსის ცვლილებას და ყველაზე დიდი სტრატეგიული პორტის პროექტში სანქცირებული ჩინურ-სინგაპურული ჰოლდინგის ჩართულობას. წარმატებული საპენსიო სისტემები ისეთ ქვეყნებში, როგორებიცაა დანია და ნიდერლანდები, ამგვარი რისკების შესამცირებლად ახორციელებენ მკაცრ კონტროლს და დაბალანსებულ მმართველობას.


**საპენსიო სისტემაში შემოთავაზებული სამართლებრივი ცვლილებები წარმოშობს საპენსიო სისტემის 1,5 მილიონი მონაწილის კეთილდღეობის საფრთხის წინაშე დაყენების რისკს.**

## შესავალი

საპენსიო სისტემები ხანდაზმული ადამიანების უსაფრთხოებისა და კეთილდღეობის საფუძველი და სოციალური დაცვის სისტემის მნიშვნელოვანი შემადგენელი ელემენტია. პენსიონერებისათვის რეგულარული შემოსავლის უზრუნველყოფით, პენსია ხელს უწყობს სიღარიბის შემცირებას და ეხმარება ხანდაზმულ ადამიანებს ღირსეული ცხოვრების ხარისხის შენარჩუნებაში. გარდა ინდივიდუალური კეთილდღეობისა, საიმედო საპენსიო სისტემა განაპირობებს ეკონომიკურ სტაბილურობას და ამცირებს როგორც ოჯახებზე, ისე სახელმწიფოზე ფინანსურ ზეწოლას.

გამართულად მომუშავე საპენსიო სისტემას თან ახლავს მნიშვნელოვანი მაკროეკონომიკური შედეგებიც. მას შეუძლია დიდი გავლენა იქონიოს ეროვნულ დანაზოგზე, მოხმარების სტრუქტურასა და ქვეყანაში არსებული სამუშაო ბაზრის დინამიკაზე. მაგალითად, ადეკვატურმა პენსიამ შესაძლოა ხელი შეუწყოს პენსიონერთა სამომხმარებლო ხარჯების ზრდას, რაც, თავის მხრივ, ეკონომიკურ ზრდას შეუწყობს ხელს. ამის საპირისპიროდ, არასაკმარისმა პენსიამ შესაძლოა სოციალურ დახმარებასა და სამედიცინო მომსახურებაზე მოთხოვნა გაზარდოს, რაც სახელმწიფო ფინანსებზე დატვირთვას გაზრდის და შესაძლოა გადასახადების ზრდა ან/და სხვა მნიშვნელოვანი სექტორებიდან რესურსების გამოდინებაც გამოიწვიოს. საქართველოში პენსიონერთა რიცხვი მნიშვნელოვნად იზრდება, ხოლო დემოგრაფიული ზრდის მაჩვენებელი საკმაოდ დაბალია. ეს ტენდენცია აიხსნება 1990-იანი წლების დასაწყისში არსებული შობადობის უკიდურესად დაბალი და მიგრაციის მაღალი მაჩვენებლებით. 2023 წლის ბოლოს ქვეყანაში 838 097 პენსიონერი იყო (იხ. გრაფიკი 1), რაც კარგად ასახავს იმ გამოწვევებს, რომლის პირისპირაც დადგება საგადასახადო სისტემა არსებული დემოგრაფიული მაჩვენებლის შენარჩუნების შემთხვევაში (2023 წელს არსებული 15,9%).

**გრაფიკი 1.** პენსიის მიმღებთა რაოდენობრივი მაჩვენებელი



წყარო: საქსტატი


იაზრებს რა მრავალი ქვეყანა საპენსიო სისტემების ცვლად ეკონომიკურ გარემოსთან ადაპტაციის მნიშვნელობას, ახორციელებს მნიშვნელოვან რეფორმებს. ასეთი ქვეყნების რიცხვში საქართველოც შედის. 2000-იანი წლების დასაწყისში საქართველომ ე.წ. „pay as you go“ საპენსიო სისტემიდან მრავალკომპონენტთან საპენსიო სისტემაზე დაიწყო გადასვლა. ამგვარი რესტრუქტურირება ასახავს ფართომასშტაბიან გლობალურ ტენდენციას, რომელიც უფრო მეტად დივერსიფიცირებული და მდგრადი საპენსიო სისტემების შექმნისკენაა მიმართული. საქართველოში ახალი საპენსიო სისტემა სამი ძირითადი კომპონენტისაგან შედგება:

**პირველი კომპონენტი არის სახელმწიფო პენსია, რომელიც წარმოადგენს ფიქსირებულ საბაზისო პენსიას ყველა იმ პირისათვის, რომელიც სარგებლობს პენსიის მიღების უფლებით.** იგი ფინანსდება როგორც დასაქმებულთა, ისე დამსაქმებელთა სავალდებულო შენატანებით, საპენსიო ასაკი ნელ-ნელა იზრდება და ამ ეტაპზე კაცებისათვის 65, ხოლო ქალებისათვის 60 წელია.

**მეორე კომპონენტი სავალდებულო დაგროვებითი საპენსიო სისტემაა.** ამ შემთხვევაში, დასაქმებულის შემოსავლის ნაწილი ავტომატურად გამოიქვითება და გადაირიცხება საპენსიო ფონდში. შემოსული თანხის ინვესტირება ხორციელდება სხვადასხვა ფინანსურ ინსტრუმენტში მონაწილეთა სარგებლის უზრუნველყოფის მიზნით. პენსიაზე გასვლის შემდეგ, ადამიანები პენსიას სწორედ აღნიშნული დანაზოგიდან იღებენ. სისტემაში მონაწილეობა სავალდებულოა გარკვეულ ასაკს მიუღწეველი დასაქმებული პირებისათვის. 2024 წლის 30 აპრილის მდგომარეობით, საპენსიო სისტემის მონაწილეთა რაოდენობა 1 511 000 ადამიანს შეადგენს. დაგროვებითი საპენსიო სისტემით ისარგებლა 9 637-მა სხვადასხვა


კატეგორიაში შემავალმა პირმა და მათზე ჯამურად 31,9 მილიონი ლარი გაიცა. საპენსიო აქტივების ღირებულება 4,9 მილიარდ ლარს შეადგენს (იხ. გრაფიკი 2 და გრაფიკი 3).

**გრაფიკი 2.** დაგროვებით საპენსიო სქემაში გაწევრიანებული პირების რაოდენობა, გამოხატული ათასებში



წყარო: საქსტატი

**გრაფიკი 3.** საპენსიო ფონდის მოცულობა, გამოხატული მილიონ ლარში




წყარო: საპენსიო სააგენტო

აღსანიშნავია ისიც, რომ 2024 წლის 30 აპრილის მდგომარეობით, დაგროვებითი საპენსიო სისტემის სახსრების ინვესტირება, ძირითადად, ხორციელდება სადეპოზიტო

სერტიფიკატებში/ვადიან დეპოზიტებში (61,8%), გლობალურ აქციებსა (17,7%) და საქართველოს სახელმწიფო სახაზინო ობლიგაციებში (15,4%) (იხ. გრაფიკი 4).

**გრაფიკი 4.** აქტივების გადანაწილება (2024 წლის 30 აპრილის მდგომარეობით)



*წყარო: საპენსიო სააგენტო*

მესამე სქემის ფარგლებში პირებს საშუალება აქვთ ნებაყოფლობით შეიტანონ დამატებითი თანხა საპენსიო დანაზოგში კერძო საპენსიო ფონდების ან სადაზღვევო კომპანიების მეშვეობით. ამ სქემის მიხედვით, შენატანების განხორციელება სავალდებულო არ არის, თუმცა მონაწილეებს საშუალებას აძლევს გაზარდონ საკუთარი საპენსიო დანაზოგი, სავალდებულო საპენსიო სისტემის ფარგლებს გარეთ. ამჟამად, დანაზოგები იმართება სადაზღვევო კომპანია სს „ალდაგის“, სს „ჯიპიაი ჰოლდინგის“ და შპს „საქაერონავიგაციის“ მიერ, ხოლო 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით საპენსიო რეზერვები 42 მილიონ ლარს შეადგენს<sup>1</sup>.

საქართველოს მთავრობა მიზნად ისახავს საფუძვლიანად შეცვალოს საპენსიო სააგენტოს მმართველობის სისტემა. არსებობს მოსაზრება, რომ შემოთავაზებული ცვლილებები ზეგვლენას მოახდენს პენსიონერებსა და ეკონომიკაზე, კერძოდ, აისახება საპენსიო სისტემის გამჭვირვალობაზე, დამოუკიდებლობასა და ეფექტურ მუშაობაზე. შემოთავაზებული

<sup>1</sup> საქართველოს დაზღვევის სახელმწიფო ზედამხედველობის სამსახური

ცვლილებები ითვალისწინებს საპენსიო სააგენტოს საბჭოს რესტრუქტურირებას, მმართველი საბჭოს წევრების არჩევის პროცედურის გადახედვას და პორტფელის შერჩევის სტრატეგიის ცვლილებას. თუმცა შეშფოთებას იწვევს ის, რომ აღნიშნულმა ცვლილებებმა შესაძლოა შეამციროს სისტემის ეფექტურობა და ხელი შეუშალოს იმ პრობლემების ეფექტურ გადაჭრას, რომლებსაც პენსიონერები აწყდებიან.

წინამდებარე პოლიტიკის დოკუმენტის მიზანია საქართველოს საპენსიო სისტემაში განსახორციელებელი ცვლილებების სიღრმისეული ანალიზი განვითარებადი და განვითარებული ქვეყნების მაგალითებზე დაყრდნობით. დოკუმენტში შეფასებულია საქართველოს საპენსიო სისტემის ამჟამინდელი მდგომარეობა, შემოთავაზებული ცვლილებები და მათი პოტენციური შედეგები.

## საქართველოს საპენსიო სისტემის მმართველობის ცენტრალიზაცია

„დაგროვებითი პენსიის შესახებ“ საქართველოს კანონით დადგენილი საპენსიო რეფორმა 2019 წლის 1-ელ იანვარს შევიდა ძალაში. მომდევნო წლებში ცხადი გახდა, რომ რეფორმის ერთ-ერთი ძირითადი პრობლემა საპენსიო სააგენტოს მმართველობის სტრუქტურაში მდგომარეობდა. როგორც კანონპროექტის განმარტებით ბარათში წერია, სამეთვალყურეო და საინვესტიციო საბჭოებისგან შემდგარი არსებული მმართველობის სტრუქტურა არ იძლევა საპენსიო სისტემის ერთიანი მმართველობის და მისი კომპლექსური მეთვალყურეობის საშუალებას. თუ კანონპროექტის ფარგლებში შემოთავაზებული ცვლილებები ძალაში შევა, **საპენსიო სააგენტოს ორ მმართველობით ორგანოს (საინვესტიციო და სამეთვალყურეო საბჭოებს) ჩაანაცვლებს მმართველობის ერთიანი ორგანო – „მმართველობითი საბჭო“**. ახალი საბჭო შეითავსებს როგორც საინვესტიციო, ისე ადმინისტრაციულ/საოპერაციო და სხვა ფუნქცია-მოვალეობებს. **მმართველობითი საბჭო დაკომპლექტდება არანაკლებ 9 და არაუმეტეს 15 წევრით**. როგორც წესი, წარმატებული საპენსიო ფონდები 7-15 წევრისგან შემდგარი საბჭოების მიერ იმართება, რაც უზრუნველყოფს ექსპერტთა მრავალმხრივ გამოცდილებას და დაინტერესებული მხარეების ჩართულობას. მაგალითად, კანადის საპენსიო გეგმის საინვესტიციო საბჭო (CPPIB) შედგება 12 დირექტორისგან, რომლებიც არჩეული არიან მათი საინვესტიციო და ბიზნეს საქმიანობასთან დაკავშირებული გამოცდილების საფუძველზე. შეერთებულ შტატებში, კალიფორნიის საჯარო თანამშრომლების საპენსიო სისტემის (CalPERS) დირექტორთა საბჭო შედგება 13 წევრისაგან, მათ შორის, არჩეული თანამდებობის პირებისა და დასაქმებულთა ჯგუფების წარმომადგენლებისაგან. ავსტრალიის მომავლის ფონდის სამეურვეო საბჭო შედგება ფინანსების დარგში გამოცდილების მქონე 7-9 წევრისაგან, ხოლო ნიდერლანდების საპენსიო



ფონდებს (მაგ., ABP) ჰყავს 9-15 წევრისგან შემდგარი საბჭო, რომელთა შორის არიან დამსაქმებლების, დასაქმებულების და დამოუკიდებელი ექსპერტების წარმომადგენლები. გაერთიანებული სამეფოს სახელმწიფო დასაქმების დანაზოგების ფონდის (NEST) სამეურვეო საბჭო შედგება 11 წევრისგან, რომლებსაც აქვთ უნარები და გამოცდილება როგორც ფინანსების დარგში, ისე საჯარო პოლიტიკის სფეროში<sup>2</sup>.

საქართველოს დაგროვებით საპენსიო სისტემაში შემოთავაზებული ცვლილებები გულისხმობს საპენსიო სააგენტოს წევრების დანიშვნის პროცედურის ცვლილებასაც. მოსალოდნელი ცვლილებების თანახმად, პრემიერ-მინისტრი საბჭოს წევრებს შესარჩევი კომისიის რეკომენდაციის საფუძველზე დანიშნავს. ეს მკვეთრად განსხვავდება არსებული სისტემისაგან, სადაც საინვესტიციო საბჭოს წევრებს ნიშნავს საქართველოს პარლამენტი. **აღნიშნულმა ცვლილებამ გამოიწვია შეშფოთება დამოუკიდებლობისა და შერჩევის პროცედურის გამჭვირვალობის ხარისხის შემცირებასთან დაკავშირებით, რამაც შესაძლოა საფრთხე შეუქმნას კომპეტენტური და მიუკერძოებელი კანდიდატების დასაქმებას.** ცვლილებამდე დირექტორთა საბჭოს შერჩევის პროცესში სახელმწიფოს სხვადასხვა განშტოება იღებდა მონაწილეობას, გადამწყვეტ როლს კი პარლამენტი თამაშობდა, როგორც საპარლამენტო რესპუბლიკის წარმომადგენლობითი ორგანო. მოწყობის ასეთი ტიპი ხელს უწყობს პარლამენტში საფუძვლიან დისკუსიებს, საზოგადოების ცნობიერების ამაღლებასა და დაინტერესებული მხარეების ჩართულობას, მათ შორის, ოპოზიციური პარტიებისა და სამოქალაქო საზოგადოებისაც. მიუხედავად ამისა, შემოთავაზებული ცვლილებები არ ითვალისწინებს პროცესში პარლამენტის ჩართულობას და მმართველობითი საბჭოს წევრების დანიშვნის უფლებამოსილებას პრემიერ-მინისტრს ანიჭებს. მიუხედავად იმისა, რომ პარლამენტი ამტკიცებს პრემიერ-მინისტრის არჩევანს, დანიშვნის შესახებ გადაწყვეტილება მიიღება ერთპიროვნულად პრემიერ-მინისტრის მიერ, რაც ამცირებს პარლამენტის კონტროლს, საზოგადოებრივი დისკუსიის შესაძლებლობას და გამჭვირვალობის ხარისხს. ამგვარად, ამან შესაძლოა წარმოქმნას მიკერძოებული გადაწყვეტილების მიღებისა და ნაკლებად კვალიფიციური კანდიდატების დანიშვნის რისკები, შემცირებული კონტროლისა და მრავალმხრივი ჩართულობის არარსებობის შედეგად, რასაც მანამდე პარლამენტის ჩართულობა უზრუნველყოფდა.

**სხვა ქვეყნების წარმატებული მაგალითები ხაზს უსვამს საბჭოს წევრების შერჩევის დაბალანსებული და მრავალმხრივი პროცესის მნიშვნელობას.** კანადის საპენსიო გეგმის საინვესტიციო საბჭოს (CPPIB) წევრების შერჩევის პროცესი სიმკაცრით გამოირჩევა და

<sup>2</sup> [Namfisa, Roles, and Responsibilities of Members of Pension Funds](#); Randle, T., & Rudolph, H. P. (2014). Pension risk and risk-based supervision in defined contribution pension funds.

წევრების დანიშვნა ფედერალური და პროვინციების ფინანსთა მინისტრების მიერ ხდება. პროცესში ჩართულია კანდიდატთა წარდგენის კომიტეტი, რომელიც წარმართავს (საინვესტიციო, ფინანსების და საპენსიო ფონდების მმართველობის სფეროებში) შესაბამისი გამოცდილების მქონე კანდიდატების ძიების პროცესს და ამით უზრუნველყოფს წევრთა პროფესიონალიზმისა და კომპეტენტურობის მაღალ ხარისხს<sup>3</sup>. შვედეთშიც, ეროვნული საპენსიო ფონდის საბჭო, რომელიც მართავს ადგილობრივ საპენსიო ბუფერულ ფონდებს, დაკომპლექტებულია სხვადასხვა დაინტერესებული მხარის, მათ შორის, დამსაქმებელი ორგანიზაციებისა და პროფკავშირების რეკომენდაციის საფუძველზე და დანიშნულია მთავრობის მიერ. ეს უზრუნველყოფს წევრთა მრავალმხრივ გამოცდილებასა და უნარებს, რაც ეფექტური კონტროლისა და მმართველობის<sup>4</sup> გარანტიაა. ნიდერლანდებში ერთ-ერთი უმსხვილესი საპენსიო ფონდის, Algemene Pension Group (APG)-ის, დირექტორთა საბჭო სამეთვალყურეო საბჭოს მიერ დანიშნული წევრებისგან შედგება, თვითონ სამეთვალყურეო საბჭოში კი დამსაქმებელთა და დასაქმებულთა წარმომადგენლები და დამოუკიდებელი ექსპერტები შედიან. ამგვარი სტრუქტურა უზრუნველყოფს წევრთა პროფესიონალიზმს და სხვადასხვა ინტერესთა ჯგუფის დაბალანსებულ წარმომადგენლობას<sup>5</sup>. დანიის უმსხვილეს საპენსიო ფონდ ATP-ს აქვს სამეთვალყურეო საბჭო, რომლის წევრებსაც ნიშნავს დასაქმების მინისტრი, სოციალური პარტნიორების, მათ შორის, პროფკავშირების და დამსაქმებელთა ასოციაციების რეკომენდაციების საფუძველზე. თანამშრომლობის ეს მოდელი იცავს ბალანსს სახელმწიფო კონტროლსა და დაინტერესებულ მხარეთა წარმომადგენლობას შორის<sup>6</sup>. სომხეთის დაგროვებითი პენსიის სისტემა დირექტორთა საბჭოს წევრების შერჩევის უფრო დივერსიფიცირებულ მიდგომას იყენებს. სომხეთში დანიშვნის პროცესში ჩართულია მრავალი დაინტერესებული მხარე, მაგ., სახელმწიფოს წარმომადგენლები, მათ შორის, შრომისა და სოციალური დაცვის სამინისტროს წარმომადგენლები გარკვეულ როლს თამაშობენ დირექტორთა საბჭოს წევრების კანდიდატურების წარდგენასა და დანიშვნის პროცესში. გარდა ამისა, სომხეთის ცენტრალური ბანკი ხშირად მონაწილეობს იმ წარმომადგენლების დანიშვნის პროცესში, რომელთაც აქვთ გამოცდილება ფინანსური რეგულირების დარგში. ამგვარი მიდგომა, რომელიც ითვალისწინებს მრავალი დაინტერესებული მხარის ჩართულობას, უზრუნველყოფს დაბალანსებულ წარმომადგენლობას საბჭოში და ხელს უწყობს შერჩევის პროცესის გამჭვირვალობასა და სანდოობას<sup>7</sup>.

<sup>3</sup> cppinvestments.com

<sup>4</sup> Första AP-fonden

<sup>5</sup> apg.nl

<sup>6</sup> atp.dk

<sup>7</sup> <https://www.parliament.am>

არსებობს რამდენიმე შემთხვევა, როდესაც საპენსიო ფონდები ჩართული იყვნენ კორუფციაში, სწორედ სათანადო კონტროლისა და რეგულირების ზედამხედველობის არარსებობის გამო. სამხრეთ აფრიკაში სახელმწიფო საინვესტიციო კორპორაცია, რომელიც ხელმძღვანელობს სახელმწიფო საპენსიო ფონდს, 2019 წელს სკანდალში გაეხვია, როდესაც გამოძიებამ ცხადყო, რომ არასათანადო კონტროლმა გამოიწვია საექვო ინვესტიციების განხორციელება და სახსრების არასწორი განკარგვა, ხოლო ზედა ხელმძღვანელი რგოლი თავად იყო გარეული კორუფციულ საქმიანობაში, მათ შორის, ქრთამის აღებაში კონკრეტული საინვესტიციო გარიგებების დამტკიცების სანაცვლოდ<sup>8</sup>. პერუში კერძო საპენსიო ფონდების სისტემას (AFP) 2017 წელს კორუფცია ედებოდა ბრალად, როდესაც გამოძიებამ აჩვენა, რომ ზოგიერთი საპენსიო ფონდი ჩართული იყო ქრთამის აღებასა და თაღლითობაში ხელსაყრელი რეგულირების პირობების სანაცვლოდ, რასაც ხელი შეუწყო კონტროლის სუსტმა მექანიზმებმა და გამჭვირვალობის ნაკლებობამ<sup>9</sup>. კორუფციაში გაეხვა ბრაზილიური საპენსიო ფონდი Postalis-ც, რომელიც საფოსტო სამსახურის თანამშრომლებს ემსახურება. გამოძიებამ დაადგინა, რომ მილიარდობით დოლარი იქნა მითვისებული თაღლითური საინვესტიციო სქემებითა და ფონდების მენეჯერების მიერ კორუფციული პრაქტიკის შედეგად. **სწორედ მკაცრი კონტროლისა და სათანადო მმართველობის არარსებობამ მოუტანა მნიშვნელოვანი ზარალი საპენსიო ფონდს<sup>10</sup>**. ჩამოთვლილი შემთხვევები ხაზს უსვამს ეფექტიანი კონტროლის, გამჭვირვალობის და საპენსიო ფონდების მმართველობის დამოუკიდებელი სამეთვალყურეო ორგანოს არსებობის მნიშვნელობას კორუფციის აღმოფხვრისა და ბენეფიციარების ინტერესების დაცვის მიზნით.

საერთო ჯამში, ჩნდება კითხვები, ხომ არ წარმოშობს კანონმდებლობაში წარმოდგენილი ცვლილებები საბჭოს წევრების არჩევისას არათანაზომიერ პოლიტიკურ ზეგავლენას, რაც შერჩევის პროცესის მიუკერძოებლობას შეუქმნის საფრთხეს. ისეთი ქვეყნების წარმატებული პრაქტიკა, როგორებიც კანადა, შვედეთი, ნიდერლანდები და დანიაა ცხადყოფს, რომ დაინტერესებული მხარეების ფართომასშტაბიანი ჩართულობა და გამჭვირვალე, კვალიფიკაციასა და პროფესიონალიზმზე დაფუძნებული შერჩევის პროცესი მნიშვნელოვნად გაზრდის საპენსიო სისტემის მმართველობის ეფექტურობასა და სანდოობას.

<sup>8</sup> Bloomberg: <https://www.bloomberg.com/news/articles/2020-03-12/inquiry-into-south-africa-s-pic-implicates-senior-management>

<sup>9</sup> OECD: <https://www.oecd.org/daf/anti-bribery/peru-phase-2-report.pdf>

<sup>10</sup> Reuters: <https://www.reuters.com/article/idUSL2N1MF0JN/>

## საპენსიო ფონდების აქტივების გარე მართვის შეზღუდვა

შემოთავაზებული ცვლილებების შედეგად შეიზღუდება საპენსიო აქტივების გარე მმართველების ჩართულობა. ამგვარად, საპენსიო ფონდების წევრებს აღარ ექნებათ საშუალება აირჩიონ მათი დანაზოგის მმართველი, როგორც ეს თავდაპირველად იყო გათვალისწინებული კანონმდებლობით, რომელიც ძალაში 2025 წლის 1 იანვარს უნდა შესულიყო. კონკურენციის ამგვარი შეზღუდვა უარყოფითად აისახება საპენსიო სისტემის მონაწილეებზე. საშუალოვადიან პერსპექტივაში, ეს ხელს შეუშლის საქართველოს კაპიტალის ბაზრის განვითარებას და, რაც უფრო მნიშვნელოვანია, შეუზღუდავს უფლებებს დაგროვებითი საპენსიო სისტემის მონაწილე პირებს.

არსებულ ლიტერატურაში ხაზგასმულია მთელი რიგი პრობლემებისა, რომლებსაც კერძო საპენსიო ფონდები აწყდებიან, განსაკუთრებით, ბაზარზე არასათანადო კონკურენციის არსებობის პერიოდში, რასაც სხვადასხვა ქვეყნის მაგალითებიც მოწმობს:

### 1. მაღალი ადმინისტრაციული ხარჯები:

- **ჩილე:** ჩილეს საპენსიო სისტემის მნიშვნელოვანი პრობლემა, რომლის მმართველობასაც კერძო კომპანიები ახორციელებენ, მაღალი ადმინისტრაციული ხარჯებია. თავდაპირველად აღნიშნული ხარჯები დაგროვილი აქტივების 15%-ს შეადგენდა, მაგრამ მიუხედავად შემდგომი შემცირებისა, ისინი კვლავ დიდ ტვირთად აწევს საპენსიო შენატანების გადამხდელებს. მაღალი ადმინისტრაციული ხარჯები ამცირებს გადამხდელთა შემოსავალს, რაც პენსიების შემცირებას იწვევს<sup>11</sup>.
- **ამერიკის შეერთებული შტატები (401(k)):** შეერთებულ შტატებში, ისეთ ინდივიდუალურ საპენსიო ფონდებს, როგორცაა 401(k), ხშირად უფრო მაღალი ადმინისტრაციული და მმართველობის ხარჯები აქვთ, ვიდრე დადგენილი საპენსიო გადასახადის მქონე სისტემებს. აღნიშნულმა მოსაკრებლებმა, შესაძლოა დროთა განმავლობაში ადამიანების საპენსიო დანაზოგის მნიშვნელოვანი შემცირება გამოიწვიოს<sup>12</sup>.

### 2. არასაკმარისი უკუგება:

<sup>11</sup> Joaquin Vial Ruiz-Tagle, Francisca Castro, The Chilean Pension System, [OECD Ageing Working Papers](#), 1998, page 18.

<sup>12</sup> [The Dialogue \(2022\). Would Boric's Plan Strengthen Chile's Pension System?](#)

- **ჩილე:** მაღალი პენსიების შესახებ დაპირებების მიუხედავად, მრავალი პირის პენსია გაცილებით ნაკლებია, ვიდრე მოსალოდნელი იყო. საშუალო პენსია დაპირებულ მაჩვენებელზე გაცილებით დაბალია, რომელსაც პენსიაზე გასვლამდე არსებული შემოსავლის 70% უნდა შეედგინა, ამის ნაცვლად კი, მხოლოდ 20-30%-ს შეადგენს. ამ დეფიციტმა პენსიონერებისათვის ფართომასშტაბიანი სირთულეები გამოიწვია, რაც მოსახლეობის უკმაყოფილებასა და პროტესტში გადაიზარდა<sup>13</sup>.
- **პოლონეთი:** ჩილეს მსგავსად, პოლონეთშიც პრივატიზირებულმა საპენსიო ფონდებმა მოსალოდნელზე დაბალი უკუგება მიიღეს. საბოლოოდ, სახელმწიფომ ნაწილობრივ უარი თქვა პრივატიზაციაზე, რადგან პენსიონერთათვის უფრო მაღალი პენსიების უზრუნველყოფა შეძლებოდა<sup>14</sup>.

### 3. კომპლექსურობა და ფინანსური კომპეტენციის ნაკლებობა:

- **ჩილე:** არჩევნის გაკეთება სხვადასხვა კერძო საპენსიო ფონდის მმართველებს შორის გარკვეულ ფინანსურ ცოდნას მოითხოვს, რომელიც შესაძლოა ყველა ადამიანს არ აღმოაჩნდეს. ამგვარმა სირთულემ, შესაძლოა, არაოპტიმალური არჩევნის გაკეთებას შეუწყოს ხელი. არასაკმარისი ინფორმაციის გამო, ადამიანებმა შესაძლოა არჩევანი მაღალი საკომისიოს და დაბალი შემოსავლის მქონე საპენსიო ფონდებს მიანიჭონ<sup>15</sup>.
- **ავსტრალია:** ავსტრალიის საპენსიო სისტემაც რამდენიმე კერძო საპენსიო ფონდს შორის არჩევნის გაკეთების საშუალებას იძლევა. მიუხედავად ამისა, სისტემის სირთულის გამო, ბევრი ავსტრალიელი საჭიროზე მაღალ გადასახადებს იხდის და ირჩევს იმ საპენსიო ფონდებს, რომლებიც მათ მოთხოვნებს არ აკმაყოფილებენ<sup>16</sup>.

წარმატებულ მაგალითებს თუ გადავხედავთ, შვედეთი გამოირჩევა სათანადოდ რეგულირებული, კონკურენტული საპენსიო სისტემით. შვედეთში პრემიალური საპენსიო სისტემა მრავალი კერძო საპენსიო ფონდიდან არჩევის საშუალებას იძლევა, რაც ხელს უწყობს კონკურენციას და ფონდების ეფექტურობას. ამგვარმა სისტემამ განაპირობა მაღალი უკუგება და კაპიტალის ბაზრის განვითარება<sup>17</sup>. ევროპის სხვა ქვეყნებშიც გვხვდება მრავალფეროვანი და კონკურენტული საპენსიო სისტემები. მაგალითისათვის, ნიდერლანდების საპენსიო ფონდები პროფესიონალი აქტივების მმართველების მიერ იმართება, ხოლო გადასახადის გადამხდელებს ნაწილობრივ აქვთ არჩევნის გაკეთების საშუალება იმასთან დაკავშირებით,

<sup>13</sup> [Heine \(2020\). Solving Chile's Crisis Starts With Fixing Its Pension System](#)

<sup>14</sup> [Heine \(2020\). Solving Chile's Crisis Starts With Fixing Its Pension System](#)


<sup>15</sup> [Heine \(2020\). Solving Chile's Crisis Starts With Fixing Its Pension System](#)

<sup>16</sup> [Heine \(2020\). Solving Chile's Crisis Starts With Fixing Its Pension System](#)

<sup>17</sup> [https://economy-finance.ec.europa.eu/system/files/2021-05/se\\_-\\_ar\\_2021\\_final\\_pension\\_fiche.pdf](https://economy-finance.ec.europa.eu/system/files/2021-05/se_-_ar_2021_final_pension_fiche.pdf)

თუ როგორ სურთ მათი საპენსიო გადასახადის დაბანდება. შედეგად შეიქმნა სტაბილური, ეფექტური საპენსიო სისტემა, მსოფლიოში ერთ-ერთი ყველაზე მაღალი აქტივებისა და მშპ-ის შეფარდებით<sup>18</sup>.

**გრაფიკი 5. საპენსიო აქტივების თანაფარდობა მშპ-სთან შერჩეულ ქვეყნებში 2022 წელს**



წყარო: Statista

დანიში საპენსიო სისტემა მოიცავს როგორც საჯარო, ისე კერძო ელემენტებს, კერძო საპენსიო ფონდებისა და სადაზღვევო კომპანიების მნიშვნელოვანი ჩართულობით. დანიის საპენსიო ფონდები ცნობილია თავისი ძლიერი მმართველობითა და რისკების მართვის წარმატებული პრაქტიკით, რამაც ხელი შეუწყო პენსიონერთა მაღალ შემოსავალს და ფინანსურ სტაბილურობას. სისტემის მონაწილეებს ხშირად აქვთ არჩევნის გაკეთების უფლება სხვადასხვა საინვესტიციო სქემას შორის, რაც აძლიერებს კონკურენტულ გარემოს.

სომხეთმა საპენსიო სისტემის მართვის განსხვავებული მიდგომა აირჩია. იგი იძლევა საპენსიო აქტივების მრავალი გარე მმართველის ჩართულობის შესაძლებლობას, რაც საპენსიო ფონდის მონაწილეებს აძლევს თავისუფლებას, აირჩიონ მათთვის სასურველი მმართველები. ამ კონკურენტულმა გარემომ ხელი შეუწყო საპენსიო აქტივების უკეთ მართვას და

<sup>18</sup> <https://www.pensioenfederatie.nl/en/home>

გამჭვირვალობას, რამაც, თავის მხრივ, სარგებელი მოუტანა სისტემის მონაწილეებს. სომხური მოდელი მიზნად ისახავს პენსიონერთა შემოსავლის მაქსიმალურად ზრდას სხვადასხვა აქტივების მენეჯერის გამოცდილებისა და ეფექტურობის ერთობლიობით, რაც უფრო ძლიერ კაპიტალის ბაზარს განაპირობებს.

საქართველოში შემოთავაზებული შეზღუდვების სომხეთის კონკურენტულ მიდგომასთან და შედეგით, ნიდერლანდებისა და დანიის წარმატებულ მოდელებთან შედარებისას ცხადი ხდება, რომ აქტივების მმართველთა შორის არჩევნის შეზღუდვამ შეიძლება ჩაახშოს კონკურენცია, შეამციროს უკუგება და შეაფერხოს კაპიტალის ბაზრის განვითარება. სხვადასხვა აქტივების მმართველთა შორის არჩევნის გაკეთების უფლების დაშვებამ და კონკურენტული გარემოს შენარჩუნებამ, როგორც ამას სხვა ქვეყნის მაგალითებიც მოწმობს, შეიძლება გაზარდოს საპენსიო სისტემების ეფექტურობა და ხელი შეუწყოს საპენსიო ფონდის მონაწილეთა ინტერესების დაცვას. კონკურენციის ნაკლებობამ და საპენსიო ფონდის მართვის კერძო კომპანიებზე დელეგირების გარანტიის არარსებობამ შეიძლება გაზარდოს კორუფციის რისკიც.


## შემსუბუქებული შეზღუდვები: საპენსიო ფონდების საინვესტიციო საზღვრების ცვლილება

შემოთავაზებული ცვლილება ზრდის დადგენილ ზღვარს სხვადასხვა ტიპის ინვესტიციებისათვის, რამდენადაც ანიჭებს საპენსიო ფონდს მეტ მოქნილობას გამოიყენოს ფინანსური ინსტრუმენტების უფრო ფართო სპექტრი საკუთარი საინვესტიციო პორტფელების შიგნით. კონკრეტულად, საინვესტიციო პორტფელების ტიპები და მათი დასაშვები საინვესტიციო ლიმიტები აქტივების ფართო კლასებში განისაზღვრება შემდეგნაირად: კონსერვატიული (დაბალი რისკის) პორტფელის 15% (აღრე 0%), დაბალანსებული (საშუალორისკიანი) საინვესტიციო პორტფელის 20% (15%) და დინამიური (მაღალრისკიანი) საინვესტიციო პორტფელის 25% (20%). პორტფელი შეიძლება დივერსიფიცირებული იყოს სხვა ტიპის აქტივებად.

ეს ცვლილება, უპირველეს ყოვლისა, ინფლაციური ზეწოლით იყო გამოწვეული. როგორც მე-6 გრაფიკზეა ნაჩვენები, 2019, 2021 და 2022 წლებში ინფლაციამ გადააჭარბა ინვესტიციების ნომინალურ უკუგებას, რამაც უარყოფითი რეალური უკუგება გამოიწვია. შესაბამისად, შემოთავაზებული ცვლილება მიზნად ისახავს ამ საკითხის გადაჭრას ინვესტიციების დივერსიფიკაციის მეტი საშუალებების წარმოქმნით, რაც პოტენციურად შეამსუბუქებს ინფლაციის გავლენას ფონდის შემოსავლებზე.

მიუხედავად აღნიშნულისა, აუცილებელია ხაზი გაესვას „სხვა ტიპის აქტივების“ მკაფიო განმარტების არარსებობას. ეს კატეგორია შეიძლება მოიცავდეს სესხებს, სახელმწიფო პროექტებში განხორციელებულ ინვესტიციებს და ა.შ. უფრო მეტიც, საბჭოს წევრების დანიშვნის პროცესში პრემიერ-მინისტრის ერთპიროვნული უფლებამოსილების და აქტივების მართვის პროცესში გარე აქტივების მმართველების შეზღუდული ჩართულობის გათვალისწინებით, ინვესტიციებთან დაკავშირებული მმართველობითი საბჭოს გაზრდილი თავისუფლება აძლიერებს პოტენციურ რისკებს, განსაკუთრებით, სამთავრობო პროექტებში ინვესტიციებთან დაკავშირებით, რაც კიდევ უფრო მეტ საფრთხეს უქმნის საპენსიო სისტემის მონაწილეებს. ეს რისკები მოიცავს ბაზრის ცვალებადობას და ამ ინვესტიციების თანმდევ გაურკვეველობას. მიუხედავად ამისა, ყველაზე მაღალი პოლიტიკური, კერძოდ, კორუფციის რისკებია.

**გრაფიკი 6.** ინვესტიციებიდან მიღებული უკუგება და ინფლაცია



წყარო: საპენსიო სააგენტო

ძალაუფლების ამგვარი კონცენტრაცია არა მხოლოდ ზრდის პოლიტიკური ზეგავლენის ალბათობას გადაწყვეტილებებზე, არამედ აჩენს შემფოთებას საინვესტიციო პროცესის გამჭვირვალობისა და ანგარიშვალდებულების შესახებ. ადეკვატური კონტროლისა და ბალანსის გარეშე, იზრდება რისკი, რომ ინვესტიციები განხორციელდება არა მხოლოდ საპენსიო სისტემის მონაწილეთათვის მაქსიმალური პენსიის უზრუნველსაყოფად, არამედ სხვა მიზნებითაც.



უფრო მეტიც, აქტივების მენეჯერების მხრიდან გარე კონტროლის ნაკლებობამ შეიძლება გამოიწვიოს რისკების მართვის პრაქტიკაში ხარვეზი, რაც ფონდს უფრო მოწყვლადს გახდის ბაზრის გაუთვალისწინებელი რყევების ან საინვესტიციო პრობლემების მიმართ. კერძოდ, ინვესტიციებს სამთავრობო პროექტებში, მიუხედავად იმისა, რომ ისინი პოტენციურად მომგებიანია, თან ახლავს თანდაყოლილი რისკები: რეგულირებასთან დაკავშირებული ცვლილებები, არასწორი მმართველობა ან შეფერხებები, რამაც შეიძლება უარყოფითად იმოქმედოს ფონდის მუშაობაზე და რისკის წინაშე დააყენოს საპენსიო სისტემის ბენეფიციარების ფინანსური უსაფრთხოება.

აქედან გამომდინარე, მიუხედავად იმისა, რომ შემოთავაზებული ცვლილებების მიზანი შეიძლება ინფლაციური ზეწოლის შემცირება და ინვესტიციების დივერსიფიკაცია იყოს, მნიშვნელოვანია გავითვალისწინოთ ინვესტირების მრავალფეროვნების ზრდის პოტენციური უარყოფითი შედეგები საპენსიო ფონდის გრძელვადიანი მდგრადობისა და მისი მონაწილეების კეთილდღეობის კონტექსტში.

## დასკვნა

საპენსიო სისტემები სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანია ხანდაზმული მოსახლეობის ფინანსური უსაფრთხოებისა და კეთილდღეობისათვის, რაც მნიშვნელოვნად უწყობს ხელს სიღარიბის შემცირებას და საზოგადოებრივ სტაბილურობას. მიუხედავად იმისა, რომ ნათქვამია, თითქოს შემოთავაზებული ცვლილებები გაზრდის საპენსიო სისტემის ეფექტურობას, ისინი წარმოშობს მმართველობასთან, კონკურენციასა და ინვესტიციებთან დაკავშირებულ რისკებს და, ამგვარად, საფრთხის წინაშე აყენებს საპენსიო ფონდის 1,5 მილიონ ბენეფიციარს.

მმართველობის ცენტრალიზებამ ერთიანი მმართველი საბჭოს შექმნით შეიძლება დააზიანოს სისტემის დამოუკიდებლობა და გამჭვირვალობა. საერთაშორისო პრაქტიკა აჩვენებს, რომ საბჭოს წევრების შერჩევის პროცესში სხვადასხვა დაინტერესებული მხარის ჩართვა ზრდის საბჭოს ანგარიშვალდებულებას და გამოცდილებას, რითაც უზრუნველყოფს საპენსიო სისტემის მთლიანობას. კანადისა და შვედეთის მაგალითი წარმოადგენს ინკლუზიური და კომპეტენციაზე დაფუძნებული შერჩევის პროცესის უპირატესობას, რაც დაბალანსებულ და ეფექტურ მმართველობას უზრუნველყოფს. დანიშვნის მექანიზმის შეცვლა საფრთხეს უქმნის საბჭოს პროფესიულ კომპეტენციასაც.

აქტივების გარე მმართველების შეზღუდვამ, შეიძლება გაამარტივოს ოპერაციები, მაგრამ იგი ზღუდავს კონკურენციას და მონაწილეთა არჩევანს, რამაც შეიძლება შეაფერხოს ბაზრის

განვითარება და შეამციროს ბენეფიციართა შემოსავალი. ამის საპირისპიროდ, კონკურენტული გარემო, როგორცაა სომხეთსა და შვედეთში, ხელს უწყობს სისტემის უკეთეს ფუნქციონირებასა და გამჭვირვალობას საპენსიო აქტივების მართვის პროცესში, რაც საბოლოოდ სარგებელს მოუტანს სისტემის მონაწილეებს.

საინვესტიციო საზღვრების შესუსტება მიზნად ისახავს ინფლაციურ ზეწოლასთან გამკლავებას გაზრდილი დივერსიფიკაციის მეშვეობით. თუმცა, ინვესტიციებთან დაკავშირებული თავისუფლების ზრდა იწვევს სახელმწიფო პროექტებთან დაკავშირებულ რისკებსაც. საგარეო კონტროლის ნაკლებობა და ინვესტიციებთან დაკავშირებული საზღვრების შემსუბუქება ზრდის არასწორი მენეჯმენტისა და კორუფციის პოტენციალს, რაც საფრთხეს უქმნის ფონდის მდგრადობას და მონაწილეთა ფინანსურ უსაფრთხოებას. ეს განსაკუთრებით დიდი რისკის შემცველია, თუ გავითვალისწინებთ, რომ შეიცვალა ქვეყნის სტრატეგიული პარტნიორობის მიმართულებაც, რაც დასტურდება სანქცირებული ჩინური კომპანიის ჩართულობით ყველაზე სტრატეგიული პორტის პროექტში. ამგვარი რისკების შესამცირებლად აუცილებელია სათანადო მმართველობა და კონტროლი, როგორც ამას დანიისა და ნიდერლანდების მაგალითები მოწმობს. აქედან გამომდინარე, შემოთავაზებული საპენსიო სისტემის ცვლილებები წარმოშობს დიდ შემფოთებას გრძელვადიანი საპენსიო სისტემის სიცოცხლისუნარიანობისა და მონაწილეთა უსაფრთხოებასთან დაკავშირებული რისკების შესახებ. მსოფლიო მასშტაბით წარმატებული მოდელების შესწავლით, საქართველომ უნდა შექმნას ძლიერი და ეფექტური საპენსიო სისტემა, რომელიც დაიცავს ბენეფიციარების სოციალურ უსაფრთხოებასა და ფინანსურ კეთილდღეობას. საბჭოს კომპეტენციისა და დამოუკიდებლობის მაღალი ხარისხის უზრუნველყოფა და დაინტერესებული მხარეების ჩართულობა გადაწყვეტია ეფექტური საპენსიო სისტემისათვის და საპენსიო ფონდის მონაწილეთა კეთილდღეობისა და ინტერესთა დასაცავად შესაძლო რისკების ეფექტურად სამართავად.

ეს რისკები კიდევ უფრო აქტუალურია, რადგან გასულ წელს საქართველოში ეკონომიკური მმართველობის სფეროში მნიშვნელოვანი დადმასვლა მოხდა. საყურადღებოა, რომ უცხოური გავლენის გამჭვიროვალობის შესახებ (ე.წ. აგენტების კანონი) ანტიდემოკრატიულ კანონთან ერთად პარლამენტმა არაერთი საკანონმდებლო ცვლილება შემოიტანა, მათ შორის: ცვლილებები საქართველოს ეროვნული ბანკის მმართველობაში, ე.წ. კანონი ოფშორების შესახებ. შეცვლილი სტრატეგიული პარტნიორობის კურსი და მთავარი სტრატეგიული პორტის პროექტში სანქცირებული ჩინური კომპანიების ჩართვა კი ქმნის კონტექსტს, რომელშიც ეს რისკები კიდევ უფრო საგანგაშო ხდება.

# ISET

International School of Economics at TSU  
Policy Institute

## ISET-ის კვლევითი ინსტიტუტი

ISET-ის კვლევითი ინსტიტუტი არის ეკონომიკის წამყვანი და დამოუკიდებელი კვლევითი ცენტრი საქართველოსა და სამხრეთ კავკასიის მასშტაბით. ინსტიტუტის საქმიანობის საგანს წარმოადგენს როგორც კვლევითი და საკონსულტაციო საქმიანობა, ისე ტრენინგებისა და დისკუსიების ორგანიზება საჯარო პოლიტიკის ირგვლივ. ISET-ის კვლევით ინსტიტუტსა და თსუ ეკონომიკის საერთაშორისო სკოლას (ISET) შორის არსებული მჭიდრო კავშირი უზრუნველყოფს ორივე ორგანიზაციის ინტელექტუალურ-ფინანსურ მდგრადობას. ინსტიტუტის მიზანია, საქართველოსა და რეგიონის მასშტაბით წვლილი შეიტანოს ეკონომიკის, განათლების, დემოკრატიული მმართველობისა და სამოქალაქო საზოგადოების განვითარებაში.

---

**ISET Policy Institute**

[www.iset-pi.ge](http://www.iset-pi.ge)

[iset-pi@iset.ge](mailto:iset-pi@iset.ge)

+995 322 507 177